


საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური



საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური
და სამოქალაქო უსაფრთხოების ერთიანი
ეროვნული სისტემა

მომხსენებელი: ილია ხურციბე

- პრევენცია
- მზადყოფნა
- რეაგირება
- აღდგენა




2018 წლის 27 ივნისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ცვლილებები 2014 წლის კანონში სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ, რომელიც გულისხმობს **მართვის ოთხივე კომპონენტის ევროპულ სტანდარტებთან მიახლოებას.**



2018 წელს შეიქმნა **საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური**, სამსახურის მისიას წარმოადგენს სამოქალაქო უსაფრთხოების უზრუნველყოფა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. სამსახური თავის მისიას ახორციელებს მართვის ოპერაციულ და ტაქტიკური დონეებზე.

საქართველოს კანონით „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ სამსახურს დაკისრებული აქვს შემდეგი **ამოცანები**:

- სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული სისტემის შექმნის უზრუნველყოფა და მისი საქმიანობის ორგანიზება;
- საგანგებო სიტუაციის პრევენციის, ეროვნული სისტემის მზადყოფნის, საგანგებო სიტუაციაზე რეაგირებისა და აღდგენითი სამუშაოების კოორდინირება;
- სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის განხორციელების უზრუნველყოფა;
- ხანძრის პროფილაქტიკის, ჩაქრობის და საავარიო-სამაშველო სამუშაოების ორგანიზებისა და ჩატარების პროცედურების სრულყოფა;
- საგანგებო სიტუაციის დროს მოსახლეობის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ქონების, აგრეთვე სახელმწიფო, მუნიციპალური, ფიზიკური და იურიდიული პირების ქონების გადარჩენისა და გარემოს დაცვის ორგანიზება;
- ხანძრის პროფილაქტიკა, ხანძრის ჩაქრობა და საავარიო-სამაშველო სამუშაოების ჩატარება;
- დაზარალებულთათვის პირველადი დახმარების აღმოჩენა;
- სახანძრო-სამაშველო დანაყოფების საქმიანობის კოორდინირება;
- სახანძრო-ტექნიკური და საავარიო-სამაშველო საშუალებების გამოყენების შესახებ ნორმატიული აქტების პროექტების შემუშავება;
- სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტების ზედამხედველობა.



სამოქალაქო უსაფრთხოება წარმოადგენს ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს ეროვნული სისტემის მუდმივ სრულყოფას, აგრეთვე შესაბამის პოლიტიკურ, ორგანიზაციულ, სოციალურ-ეკონომიკურ, საინფორმაციო, სამართლებრივ და სხვა ზომების რეალიზებას, მათ შორის:

- საგანგებო სიტუაციების პრევენციის, მათი შედეგების ლიკვიდაციის ან განსაცდელში მყოფ პირებისათვის პირველადი დახმარების აღმოჩენის, მათი სიცოცხლის და ჯანმრთელობის დაცვის ზომებს;
- საინჟინრო, სახანძრო, ქიმიურ, ფსიქოლოგიური, ბიოლოგიური, რადიაციული და სამედიცინო დაცვის, ასევე საევაკუაციო ღონისძიებების ორგანიზებას;
- სეისმურ, გეოლოგიურ, ჰიდრომეტეოროლოგიურ, სამრეწველო (საწარმო) და ტრანსპორტის უსაფრთხოების სფეროში სახელმწიფო მართვის ფუნქციების გაუმჯობესების ზომებს;
- საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებას სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში;
- მოხალისეობის ინსტიტუტის ჩამოყალიბებას;
- ალტერნატიული სამხედრო სამსახურის დანერგვას.

საქართველოსათვის დამახასიათებელი ბუნებრივი ხასიათისა და ადამიანური ფაქტორით გამოწვეული საფრთხეები და რისკები

ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის უდიდესი ნაწილი სეისმურად საშიშ რაიონებს მოიცავს, მოსახლეობის სიმჭიდროვე საკმაოდ მაღალია, შენობა-ნაგებობების დიდი ნაწილი მოძველებულია და არ პასუხობს სეისმომდგრადობის ნორმებს. არ არსებობს სტრატეგიული ობიექტების, ჰიდროელექტროსადგურების, მაგისტრალური გაზსადენების, ნავთობსადენების, მომეტებული საფრთხის შემცველი საწარმოების და სხვა ნაგებობათა სრულყოფილი და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი დაცვისა და უსაფრთხოების სისტემები. მოსახლეობა სათანადოდ არ არის მომზადებული საგანგებო სიტუაციების დროს და მის შემდგომ პერიოდში მოქმედებისათვის.

საქართველოში ფართომასშტაბიანი საგანგებო სიტუაციების გამომწვევ საფრთხეებს წარმოადგენენ: ავარიები ჰიდროელექტროსადგურებზე, პანდემია, ტყის ხანძრები, წყალდიდობები და წყალმოვარდნები, გვალვა, ზვავები, სეტყვა, ძლიერი მიწისძვრა, მეწყრულ-გრავიტაციული პროცესები, ღვარცოფული პროცესები, წყლისმიერი ეროზიული პროცესები, ავარიები მაგისტრალურ მილსადენებზე, მომეტებული საფრთხის შემცველ ობიექტებზე მასშტაბური სამრეწველო ავარიები და ქიმიური ნივთიერებების გაჟონვა, ჰიდროდინამიკური ავარიები, ავარია სომხეთის ატომურ ელექტროსადგურზე და სხვა.


საფრთხეები და რისკები




მდინარეთა აუზის საფრთხეების რისკის შეფასება

11 მდინარის აუზისთვის:





1. ჭოროხი-აჭარისწყალი
2. რიონი
3. ხობისწყალი
4. ენგურის ზედა წელი
ენგური ქვედა წელი
5. სუფსა
6. ნატანები
7. კინტრიში
8. ალაზანი
9. იორი
10. ხრამი-ქცია
11. მტკვარი



საერთოებები



ზეგავლენის ელემენტები





სამოქალაქო უსაფრთხოების **ეროვნული სისტემა**

ქვეყანაში სამოქალაქო უსაფრთხოების უზრუნველყოფას ახორციელებს **ეროვნული სისტემა**, რომელიც არის საქართველოს ადმინისტრაციული ხელისუფლების დაწესებულებების, საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების, ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოებისა და მუნიციპალიტეტის ორგანოების ერთიანი ქსელი. სისტემის სუბიექტების საქმიანობის კოორდინატორი არის საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური.

ეროვნული სისტემის ფუნქციონირების მიზანია:

- საგანგებო სიტუაციების პრევენცია;
- საგანგებო სიტუაციებზე მზადყოფნა;
- საგანგებო სიტუაციებზე რეაგირება და მათი შედეგების ლიკვიდაცია;
- საგანგებო სიტუაციის ზონაში აღდგენითი სამუშაოების ორგანიზება;
- საგანგებო სიტუაციებში მოსახლეობის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, ქონების დაცვა და მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფა. ამ მიზნით სამართლებრივი და ეკონომიკური ნორმების შემუშავება;
- საგანგებო სიტუაციების დროს გარემოს დაცვა და მატერიალური ზიანის შემცირება;
- საომარი მოქმედებების დროს წარმოქმნილი საგანგებო სიტუაციისაგან მოსახლეობის დაცვა;
- სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტის უსაფრთხო და სტაბილური ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

საექსპერტო-საკონსულტაციო საბჭო



საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან ფუნქციონირებს საექსპერტო-საკონსულტაციო საბჭო, რომელიც შეიმუშავებს მეცნიერულად არგუმენტირებულ რეკომენდაციებს საგანგებო სიტუაციების პრევენციის, მათზე მზადყოფნის და რეაგირების სფეროში. საექსპერტო-საკონსულტაციო საბჭო დაკომპლექტებულია ცნობილი ქართველი მეცნიერებით და საგანგებო სიტუაციების სფეროში მოღვაწე ექსპერტებით.

პრევენცია და მზადყოფნა

პრევენცია:

პრევენცია - მოსახლეობის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, ქონების და გარემოს დაცვის მიზნით საგანგებო სიტუაციების პრევენციული ღონისძიებების ორგანიზება.

საგანგებო სიტუაციების პრევენციული ღონისძიებების ორგანიზება ხორციელდება რისკის მართვისა და საგანგებო მართვის გეგმების საფუძველზე, საგანგებო სიტუაციების განვითარების სავარაუდო სცენარების მიხედვით.

მზადყოფნა:

მზადყოფნის ღონისძიებებს უზრუნველყოფენ სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული სისტემის სუბიექტები.

მზადყოფნის ღონისძიებებია: საგანგებო სიტუაციების შესახებ მოსახლეობის ადრეული შეტყობინება, მოსახლეობის ინფორმირება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, გამოცემებით, სპეციალური ლიტერატურითა და სხვა ფორმებით, ეროვნული სისტემის სუბიექტების ხელმძღვანელებისა და სპეციალისტების სწავლება, სამაგიდო, კომპლექსური და ტაქტიკურ-სპეციალური ვარჯიშები, მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური ჯგუფებისათვის სწავლებები და ინფორმირება სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში, საგანმანათლებლო დაწესებულებებში საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მათზე რეაგირების მოთხოვნების, საგანგებო სიტუაციებში ქცევისა და სახანძრო უსაფრთხოების წესების სწავლება, პროფესიონალი მეხანძრეებისა და მაშველების გადამზადება და აღჭურვა, მოხალისეების მომზადება, დამცავი ნაგებობების მოწესრიგება და შესაბამისად აღჭურვა, საგანგებო სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციის მიზნით მატერიალური რეზერვების მარაგის შექმნა.



რეაგირება და აღდგენითი სამუშაოები

რეაგირება:

ეროვნული მნიშვნელობის მსხვილმასშტაბიანი საგანგებო სიტუაციის საფრთხის არსებობის ან მისი განვითარების შემთხვევაში, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური, ეროვნულ სიტუაციურ ოთახში, კრებს საგანგებო სიტუაციების მართვის უწყებათაშორის ოპერატიულ ცენტრს, იწყება რეაგირების ღონისძიებების განხორციელება.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური მიღებული ინფორმაციის საფუძველზე საქართველოს პრემიერ-მინისტრს წარუდგენს მოხსენებას შექმნილი ვითარების შესახებ. იქმნება მართვის ღონისძიების შესაბამის საგანგებო და საველე ოპერაციების შტაბები. სამინისტროები და აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებები ქმნიან შინაუწყებრივ საგანგებო შტაბებს. საჭიროების შემთხვევაში, კანონმდებლობის შესაბამისად, სალიკვიდაციო სამუშაოებში ერთვება შეიარაღებული ძალები. საერთაშორისო დახმარების მოთხოვნის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი. საერთაშორისო დახმარების მიღება ხორციელდება მასპინძელი ქვეყნის მხარდაჭერის პროცედურების შესაბამისად.

დაუყოვნებლივ იწყება საავარიო-სამაშველო, ადამიანთა ძებნის და სხვა გადაუდებელი სამუშაოების, სამედიცინო დახმარების, სახანძრო, საინჟინრო, ქიმიური, რადიაციული დაცვის, საევაკუაციო ღონისძიებების ორგანიზება.

აღდგენითი სამუშაოები:

აღდგენითი სამუშაოები ხორციელდება საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებისა და მათი შედეგების ლიკვიდაციის დასრულების ფაზაში. აღდგენითი სამუშაოები მოიცავს ინფრასტრუქტურის, კომუნიკაციების ქსელებსა და ხაზებზე დაზიანებების აღმოფხვრას, ენერგომომარაგების აღდგენითი სამუშაოების ორგანიზებას, მოსახლეობის სასიცოცხლო უზრუნველყოფისათვის მინიმალურად საჭირო პირობების შექმნას.

სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმა

სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმა წარმოადგენს სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული სისტემის ძირითად სახელმძღვანელო დოკუმენტს, რომელიც სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში აწესრიგებს ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობას და ხორციელდება 17 საგანგებო დახმარების ფუნქციის ამოქმედებით.


ეროვნული გეგმა არის დამტკიცებული შეთანხმება სამინისტროებსა და უწყებებს შორის, რომელიც:

- მიმართულია საგანგებო სიტუაციების პრევენციის, მასზე მზადყოფნის უზრუნველყოფისათვის;
- არეგულირებს საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების ღონისძიებებს რეალური საფრთხეებისა და მისი განვითარების შემთხვევაში, ასევე აღდგენითი სამუშაოების ორგანიზებას;
- უზრუნველყოფს დახმარებას აღნიშნული მიმართულებით არსებული კანონმდებლობის მიხედვით ქვეყანაში;
- უზრუნველყოფს სახელმწიფოში არსებული და ქვეყნის გარედან მოზიდული რესურსების განაწილების კოორდინირებას, რომელიც განკუთვნილია საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებისათვის.

საგანგებო დახმარების ფუნქციები საგანგებო სიტუაციების დროს

- ფუნქცია 1 - საგანგებო მართვის უზრუნველყოფა;
- ფუნქცია 2 - კავშირგაბმულობის და შეტყობინების ღონისძიებების უზრუნველყოფა;
- ფუნქცია 3 - მოსახლეობის ევაკუაციის ღონისძიებების უზრუნველყოფა, ლტოლვილთა მოულოდნელი ნაკადების;
- ფუნქცია 4 - რეაგირების ღონისძიებების კოორდინირება;
- ფუნქცია 5 - სატრანსპორტო უზრუნველყოფა;
- ფუნქცია 6 - სამედიცინო უზრუნველყოფა;
- ფუნქცია 7 - მასპინძელი ქვეყნის მხარდაჭერის, დიპლომატიური პროტოკოლისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული მხარდაჭერის უზრუნველყოფა;
- ფუნქცია 8 - ტყის ხანძრებზე ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების უზრუნველყოფა;
- ფუნქცია 9 - ენერგომომარაგების უზრუნველყოფა;
- ფუნქცია 10 - მცენარეთა და ცხოველთა დაცვის უზრუნველყოფა;
- ფუნქცია 11 - ქიმიური და რადიოაქტიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- ფუნქცია 12 - მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა;
- ფუნქცია 13 - კულტურული მემკვიდრეობის მოძრავი ობიექტების ევაკუაციის ღონისძიებების უზრუნველყოფა;
- ფუნქცია 14 - საზოგადოებრივი წესრიგისა და მატერიალურ ფასეულობათა დაცვის უზრუნველყოფა;
- ფუნქცია 15 - ინფრასტრუქტურის დაცვისა და საგზაო უზრუნველყოფა;
- ფუნქცია 16 - სურსათითა და წყლით უზრუნველყოფა;
- ფუნქცია 17 - საგანგებო სიტუაციების ზონაში აღდგენითი სამუშაოების კოორდინირება.

საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მოდელი



საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მართვის დონეები

ეროვნული მნიშვნელობის - რეაგირებას უზრუნველყოფენ სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული სისტემის ორ ან მეტი სუბიექტის რეაგირების ძალები.

ეროვნული მნიშვნელობის საგანგებო სიტუაციის დროს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ან მის მიერ საამისოდ უფლებამოსილი პირი, საგანგებო სიტუაციების ლიკვიდაციის მიზნით უფლებამოსილია სალიკვიდაციო ღონისძიებებში ჩააბას ეროვნული სისტემის სუბიექტების რეაგირების ძალები. ამ შემთხვევაში კოორდინირებას ახორციელებს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური;

ადგილობრივი მნიშვნელობის – რომლის მართვისათვის, მისი ხასიათიდან გამომდინარე, საკმარისია ეროვნული სისტემის ერთი სუბიექტის რეაგირების ძალები და საშუალებები.

ადგილობრივი მნიშვნელობის საგანგებო სიტუაციისას ხანძრის ჩაქრობას, საავარიო-სამაშველო სამუშაოების ჩატარებას და ამისათვის საჭირო შესაბამის ღონისძიებების მართვას უზრუნველყოფს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური.

რეაგირების მართვის ორგანოები

1. ეროვნულ დონეზე:

- საგანგებო სიტუაციების მართვის უწყებათაშორისი ოპერატიული ცენტრი - **ეროვნული სიტუაციური ოთახი.**
- აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებების **შინაუწყებრივი საგანგებო შტაბები.**

2. ადგილობრივ დონეზე – საგანგებო სიტუაციების მართვის ადგილობრივი **საგანგებო შტაბი** (ოპერატიულ დონეზე);

3. ოპერატიული ცენტრის ან საგანგებო შტაბების მიერ საგანგებო სიტუაციის ზონაში ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე შექმნილი **საველე ოპერაციების შტაბები** (ტაქტიკურ დონეზე).

საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მართვის ორგანოების ძირითადი ამოცანაა სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული სისტემის რეაგირების ძალების საქმიანობის კოორდინირება.

Municipality	Pictures	
Tbilisi		
Senaki		
Khobi		
Abasha		



ცნობიერების ამაღლება



სამოქალაქო-სამხედრო თანამშრომლობა



საქართველოს თავდაცვის სამინისტრო



2025 წლის თებერვალში გურიის რეგიონი განსაკუთრებულად რთული მეტეოროლოგიური პირობების წინაშე აღმოჩნდა.

20 თებერვლიდან დაწყებულმა ძლიერმა თოვამ, რომელიც კვირაზე მეტხანს გაგრძელდა, რეგიონის თითქმის სრული პარალიზება გამოიწვია. ზოგიერთ ადგილას თოვლის საფარმა 2-3 მეტრს გადააჭარბა. სტიქიამ განსაკუთრებით დააზარალა ოზურგეთის, ლანჩხუთისა და ჩონატაურის მუნიციპალიტეტები.


თოვლის სიმძიმემ რამდენიმე სოფელში სახლების სახურავების ჩანგრევა გამოიწვია.

მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე არსებული გზები სრულად პარალიზებული იყო, ასობით ოჯახი დარჩა ელექტროენერჯისა და გაზის გარეშე.

მოცემული ვითარებიდან გამომდინარე, რეგიონში შეიქმნა ადგილობრივი საგანგებო შტაბი, რომელიც კოორდინაციას უწევდა როგორც სამაშველო, ისე სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებს.

„კოპერნიკუსთან“ თანამშრომლობა


ევროკავშირის მიერ მომზადდა - ევროკავშირის სატელიტური მონიტორინგის სისტემა „Copernicus“ -ის სტიქიით დაზარალებული ტერიტორიების რუკები, რაც მნიშვნელოვნად გამოგვადგა სიტუაციური ანალიზისა და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვის მიმართულებით.



**2025 წლის
თებერვალში
დიდთოვლობა
გურიის რეგიონი**

„კოპერნიკუსთან“ თანამშრომლობა

ევროკავშირის მიერ მომზადდა - ევროკავშირის სატელიტური მონიტორინგის სისტემა „Copernicus“ -ის სტიქიით დაზარალებული ტერიტორიების რუკები, რაც მნიშვნელოვნად გამოგვადგას სიტუაციური ანალიზისა და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვის მიმართულებით.



2017 წლის
მასშტაბური ტყის
ხანძრები ბორჯომის
მუნიციპალიტეტში



გმადლობთ ყურადღებისთვის!